



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენიშვილის ქ. №25

04/07/2018

N 1760

1760-09-02-11-3-201807041740



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის
დეპარტამენტის უფროსს ბატონ ვაჟა ცეცხლაძეს

ბატონო ვაჟა,

2018 წლის 28 ივნისის #16/99 წერილის პასუხად, გიგზავნით ინფორმაციას 2016 წლის 28 ნოემბრიდან დღემდე უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის მიერ ბავშვთა უფლებების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებზე.

2017 წლის 25 იანვარს, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა, 74-ე სესიაზე განიხილა გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის შესრულების ანგარიში -საქართველოს მთავრობის მე-4 პერიოდული ანგარიში. 2017 წლის 3 თებერვალს კომიტეტმა დასკვნითი შეფასებები გამოსცა, რომლის თანახმადაც პოზიტიურად შეფასდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება, ქორწინების მინიმალური ასაკის განსაზღვრა, სოციალური დახმარების სისტემის გაუმჯობესება. გაეროს კომიტეტის დასკვნით მოსაზრებებში აისახა ის გამოწვევებიც, რომელიც საქართველოს ხელისუფლების წინაშე დგას, რომელთაგან რეგიონის დონეზე შესასრულებლად, ნიშანდობრივია, ფიზიკური (სხეულებრივი) დასჯის ამკრძალავი საკანონმდებლო რეგულაციების შექმნისა და რეფერირების პროცედურების ეფექტიანი განხორციელება. ასევე, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის გაგრძელების, ჯანდაცვისა და განათლების პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მონაწილეობის შეფასებისა და სოციალური მუშაკების როლისა და ადამიანური რესურსების გაზრდის საკითხები.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის #437- ე დადგენილებით, დამტკიცდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, რომლის ფარგლებშიც გაფართოვდა ბავშვის მიმართ ძალადობისა და მიუსაფარ ბავშვთა გამოვლენის, დაცვასა და დახმარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების წრე და რეფერალში ჩართულ სამინისტროებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად პასუხისმგებლობა ადგილობრივ თვითმმართველობებსაც დაეკისრათ.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი მუშაობს აღნიშნულ რეკომენდაციებზე, საქართველოში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ჩატარებული კვლევების ანალიზებზე დაყრდნობით, ასევე აჭარის რეგიონში კომიტეტის მხრიდან დანახული პრობლემის გადაჭრის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე.

ამ თვალსაზრისით, 2017 წლის 28 თებერვალს ბათუმში, „ადამიანის უფლებები ყველასთვის“ პროექტის ფარგლებში გაეროს ბავშვთა ფონდის - უნისეფის მიერ გამართულ კონფერენციაში მონაწილეობისას - კომიტეტმა აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებს შესთავაზა ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების პროცესში რთულად გადასაწყვეტ საკითხებზე, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენონ ჩვენი კომიტეტის რესურსი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაუწევს შესაბამის კონსულტაციებსა და კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებას. იუნისეფის წარმომადგენელი საქართველოში მისალმა კომიტეტის ამ ინიციატივას და მისი ჩართულობა აჭარის რეგიონში ბავშვთა რეფერირების პროცესის ხელშეწყობ გარემოებად შეაფასა.

ბავშვთა რეფერირების საკითხებზე იუნისეფთან თანამშრომლობით კომიტეტი მონაწილეობდა ასევე, 2017 წლის 19 ივნისს გამართულ სამუშაო შეხვედრაში, რომლის დროსაც კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ ბავშვთა ძალადობისგან დაცვის ეფექტურობის თვალსაზრისით, საზოგადოებრივი მაუწყებლის უმნიშვნელოვანეს როლზე გაამახვილა ყურადღება, რაც აუცილებელ საშუალებად განიხილა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით, ძალადობის წინააღმდეგ სოციალური რეკლამებისა და სპეციალურ გადაცემებში ბავშვის აღზრდის მართებულ ფორმებზე გაშუქებით.

იუნისეფის კვლევებით გამოვლინდა, რომ რეფერირების მექანიზმში ჩართულ პროფესიონალები კარგად არ იცნობენ საკუთარ ვალდებულებებს. მაგ. სკოლებში მომუშავე პროფესიონალთა (მასწავლებლების და მანდატურების) 46%-მა განაცხადა, რომ ძალადობის ფაქტების შესახებ შეტყობინება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ძალადობა მიმდებარე ფორმისაა და რამდენჯერმე განმეორდა. ასევე, ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავე პროფესიონალთა (მასწავლებლების, მანდატურების და სოციალური მუშაკების) 60 პროცენტი ფიქრობს, რომ ოჯახის შიდა საქმეები მხოლოდ ამ ოჯახის პირადი საქმეა და სხვები მასში არ უნდა ერეოდნენ.

კომიტეტი გეგმავს, რეფერირების მექანიზმში ჩართული პირების (სკოლის მასწავლებლები, მანდატურები, სოციალური მუშაკები), ბავშვთა ძალადობაზე სათანადო და დროული რეაგირებისათვის, მათთვის საკითხზე ცნობიერების დონის ამაღლების ღონისძიებების გატარებას.

აღნიშნულ შეხვედრებში ასევე მონაწილეობდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სოციალური მომსახურების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, აჭარის პროკურატურის, აჭარის ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სოციალურ მუშაკთა ასოციაციის, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის წარმომადგენლები, სასულიერო და სხვა დაინტერესებული პირები.

სახელმწიფო გამოწვევების წინაშეა ოჯახში, სამზრუნველო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებლით. პრობლემას წარმოადგენს, როგორც ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენა, ასევე მათი რეაბილიტაციის, ძალადობისგან დაცვის ეფექტიანი ღონისძიებების გატარება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პრობლემურია ბავშვთა ფიზიკური დასჯის, ასევე, ბავშვებს შორის ან და მესამე პირის მხრიდან ბულინგის შემთხვევები.

ამ მიზნით კომიტეტის თავმჯდომარის ცოტნე ანანიძის ინიციატივით 2018 წლის 1 ივნისს აჭარის ა.რ. უმაღლეს საბჭოში გაიმართა შეხვედრა სსიპ ქალაქ ბათუმის პირველი, მე-2, მე-18 და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩაქვის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. მოსწავლეები მოწვეულები იყვნენ დისკუსიისთვის ბულინგის თემაზე (რა სახით ვლინდება ძალადობა ბავშვებში, რა არის მისი გამომწვევი მიზეზები და რა ზომები უნდა გატარდეს ბულინგის საფრთხის მინიმუმამდე დასაყვანად).

დისკუსიის დროს კომიტეტის წევრებმა ცოტნე ანანიძემ, ილია ვერძაძემ, ნუგზარ სურმანიძემ და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მერაბ კარანაძემ მოისმინეს ინფორმაცია სკოლებში გამოვლენილ ბულინგის ფორმებზე, მოსწავლეების თვალთ დაწახულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე. მოსწავლეები ასევე, გაეცნენ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტის საქმიანობის სპეციფიკას, დაათვალიერეს საკანონმდებლო ორგანოს შენობა, ხოლო შეხვედრის დასასრულს საჩუქრად გადაეცათ ბავშვის უფლებათა კონვენცია და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (ფლაერები). საკითხის შესწავლის საფუძველზე კომიტეტი, თავის მხრივ, გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ბავშვთა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შეხვედრები გაგრძელდება როგორც სხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, ასევე სხვადასხვა უწყების შესაბამის წარმომადგენლებთან.

სამწუხაროდ დღემდე დიდია ჩვენს ქვეყანაში სოციალურად დაუცველი ოჯახების რიცხვი, ხშირ შემთხვევაში მშობლებს უჭირთ ბავშვის საჭიროებებისა და ცხოვრების სათანადო პირობებით უზრუნველყოფა. ასეთ ოჯახებში არასრულწლოვნებს გარკვეულწილად ეზღუდებათ განათლების ხელმისაწვდომობის უფლებაც. აღნიშნული მდგომარეობა კი არის ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ერთერთი მნიშვნელოვანი მასაზრდოებელი ფაქტორიც.

იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა (რომელიც ითვალისწინებს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამას, რომლის ამოცანაც სილატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება, ბავშვის მიტოვების რისკის შემცირება და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება) ამ პროგრამის მექანიზმები უნდა იყოს უფრო მოქნილი.

ბავშვთა უკანონო შრომის წინააღმდეგ, კომიტეტის თავმჯდომარემ ცოტნე ანანიძემ განცხადება გააკეთა 2018 წლის 12 ივნისს, რომლითაც მიმართა შესაბამის უწყებებს კონკრეტული რეკომენდაციებითა და საკითხზე თანამშრომლობის სურვილით, კომიტეტის თავმჯდომარე ყურადღებას ამახვილებს ბათუმში ტურისტული სეზონის დროს ბათუმის ქუჩებში მიუსაფარ ბავშვთა მატებაზე, რომლებიც უკანონო „შრომას“ ეწევიან. მისი განცხადებით, ადგილზე პრობლემის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ეს საქართველოს დიდ ქალაქებშია თბილისსა და ქუთაისში, ბათუმშიც მუშაობდეს სოციალური სააგენტოს ადამიანური რესურსის პირობებში შესაბამისი მობილური ჯგუფები, ბავშვების იდენტიფიცირებისთვის და შესაბამისი დახმარებისთვის. მათთან ერთად მნიშვნელოვანია ჩაერთოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უბნის ოფიცრები, რომლებიც აწარმოებენ რეალურ გამოძიებას პრობლემის გამოვლენის თუ კონკრეტული ფაქტების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს რეგიონში მოქმედებს ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლთა, ასევე მახინჯაურის დედათა და ბავშვთა თავშესაფრები, ამ დაწესებულებებში სტატუსის მინიჭების გარეშე ვერ ხვდება მსხვერპლი/დაზარალებული. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ამ დაწესებულებათა კონტიგენტი, შესაბამისად, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შეიქმნას ახალი კრიზისული ცენტრი, სადაც მოხდება ასეთი პრობლემის მქონე ბავშვების განთავსება, მათი განათლებაში ჩართვა და ინდივიდუალურად თითოეული ბავშვის საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზება.

ჩვენი რეგიონისთვის არანაკლებ პრობლემას წარმოადგენს ბავშვები, არასრულწლოვანობის პერიოდში ჩაბმულნი ქვეყნის გარეთ უკანონო შრომით მიგრაციაში. მნიშვნელოვანია განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გააძლიეროს ბავშვთა

შრომის გამო განათლების მიტოვების პრევენცია და აღრიცხვიანობა, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეაგირება მოახდინოს შრომითი ექსპლოატაციის შემთხვევებზე.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ ქუჩაში მცხოვრები ბავშვების მასაზრდოებელი ფაქტორი არა მხოლოდ ოჯახების სიდუხჭირე იყოს, არამედ ამის უკან შესაძლოა იდგეს დამნაშავე პირი ან /და დანაშაულებრივი ჯგუფი რომლებიც ამ ბავშვების მიღმა იმალებიან, რასაც დაუყოვნებლივ გამოვლენა სჭირდება. აქვე, საგულისხმოა, რომ დიდი რისკი არსებობს იმისა, რომ ქუჩაში მცხოვრები ბავშვები ადვილად მოექცნენ კრიმინალური გავლენის ქვეშ, რაც სიდუხჭირესთან ერთად ბავშვის ცხოვრებისთვის დამანგრეველია და ქვეყნისთვისაც საფთხის შემცველია.

როდესაც სახელმწიფომ გააქტიურა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, საკანონმდებლო რეგულაციებში ყურადღება გადატანილი იყო პასუხისმგებელ ორგანოთა მხრიდან დამნაშავეს გამოვლენის და დასჯის მექანიზმებზე, თუმცა ყურადღების მიღმა დარჩა სამოქალაქო ცნობიერების დონის ამაღლება, მეტი ინფორმირებულობა უფლებებზე და ქცევის კორექტურობაზე, ემოციების მართვაზე.

ძალადობის შემთხვევებს ყოველთვის ჰყავს მსხვერპლიც და მოძალადეც, ორივე მათგანთან თანაბარი მუშაობაა საჭირო და თუკი განათლება და მეტი ინფორმირებულობა იქნება ძალადობის წინააღმდეგ, ვფიქრობთ მნიშვნელოვნად გააჯანსაღებს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესს, რაც იქნება ერთგვარი პრევენციაც სხვა ფაქტორებთან ერთად.

ეს მიმართულება აქვს აღებული სწორედ კომიტეტს და ვგეგმავთ ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა უფლებათა კონვენციისა (მათ შორის ადაპტირებული ვერსიის) და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გავრცელებას, ზოგადად ადამიანის უფლებების პროპაგანდას.

რაც შეეხება ბავშვთა მიმართ ძალადობის თაობაზე კომიტეტში მომართვიანობას, ამ დრომდე ასეთი შინაარსის განცხადებით არ მოუმართავს არცერთ მოქალაქეს.

ბაკურ ბოლქვაძე



აპარატის უფროსი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის აპარატი